



# მეცემსი

№ 4

№ 4

1883—1907 წ.

28 თებერვალი.

ბა აიკულობს ჟართველთა თავის ეკლესიისა-  
თვის ავტორეალობის აღგენას?

(გაგრძელება\*).

F493

ზემო ხსენებულ მოხსენებათა წაითხვის შემდეგ მოგილევის ეპისკოპოსმა, ჩვენში კარგად ცნობილმა, სტეფანემ განაცხადა, რომ საესებით განმარტათ საქმე, სურვილი და მოთხოვნებიანი წამოყენებულნი ქართველ ეპისკოპოსთა, და საფუძვლები, რომელნიც მათ მოჰყავსთ თავიანთ მოთხოვნების გასამართლებლად, საქირაოაო მოვისმინათ მოხსენებამაც ყ-დ სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდისა, წარდგენილი მისგან უწმიდეს სინოდში და დაბეჭდილი ცალკე სხვა ეპარქიების მღვდელთ-მთავართა პასუხების კრებულში (ტომი III, გვ. 507 და სხ.).

კრების სურვილისამებრ ეპისკოპოსი სტეფანე კითხულობს ყ-დ სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის მოხსენებას და ადგილ-ადგილ შეჩერდება და თავის შენიშვნებს და განმარტებებს მოახსენებს კრებას.

„უმთავრესნი საფუძვლნი, ამბობს ეპისკოპოსი სტეფანე, საქართველოს ეკლესიის ავტორეალობისა მიმართულია ყ-დ სამღვდლო ლეონიდისაგან იუსეთის ეკლესიური მართველობის სასტიკ გამტყუენებაზე და იმათ მმართვა-გამგეობის ნაკლულევენებაზე და ბოროტ-მოქმედებაზე, და სახელდობ: რუსის ექსარხსებები მართავდენ საქსარხსოსის უპატიოსნო მახლობელ პირთა დახმარებით, სდევნიდენ მთელ ქართველობას, სდევნიდენ ყველა ქართველთა ეკლესიის ზნე-ჩვეულებათა, რომელთაც ისინი ინახავდენ ქრისტიანობის პირველი საუკუნიდან,

სზობდენ და ანადგურებდენ ეკლესიურ სიძე ლეთა; ამისათვის არც ექსარხსებს ჰქონდათ რწმუნება ქართველების ეკლესიის საზოგადოებისაგან. და თვით ქართველმა სამღვდლოებამაც დაჰკარგა რწმუნა ხალხისაგან, რელიგიური განათლება დაეცა, გამოსწინა და ლტოლილება უნიისადმი რომის ეკლესიასთან. სემინარიებში და სასწავლებლებში მოსამსახურენი იყვნენ რუსები; აქ არ ასწავლიდენ 1883 წლამდე ქართველ სამართო-წერილს, რომლისა გამო ქართველმა მღვდლებმა არ იცოდენ სამწყსოს ენა, ამისათვის სემინარიელები სამღვდლოდ არ იყვნენ მომზადებულნი, რისა გამო ძვირად მიდიოდენ მღვდლოდ, და რომელნიც კი მიდიოდენ არ იყვნენ მტკიცე მორწმუნენი, იშვითად სწირავდენ ეკლესიაში და ისეთ საქციელს იჩენდენ, რომ თავის ქირაობით აღაშფოთებდენ რელიგიურ გონობას მრავალ მდებალ ხალხთა.“

რაც წაითხება ეპისკოპოსმა სტეფანემ მასზე მოიყვანა თავისი შემდეგი განმარტება. მოხსენებაში ნათქვამია, რომ თუთხმეტი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ეკლესია აყვავებული იყო და რაც რუსეთს შემოუერთდა იგი სრულებით დაეცაო. მაკრამ ეს ასე არ არის. ისტორია სრულებით არ ამტკიცებს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ეკლესია ყოფილიყოს აყვავებული, არამედ იყო ღრმად დაცემული. ამას მოწმობენ უცხოეთის მოგზაურნი (შარდენი მეთექვსმეტე საუკუნეში), მთავარ-დიაკონი პავლე აღვსკი ანტიოქიის პატრიარქის მკარის მოგზაურობის აღწერაში. უეჭველია საქართველო—იმერეთის სინოდის კანტორაში და უწმიდესი სინოდის არხივში და აგრეთვე კავკასიის უმთავრეს საერო გამგეობის სამმართველოში აღმოჩნდება არა მცირე მიუღვამელი დამტკიცებანი

\*) ახ. მწეგისი № 1—2 1907 წ.

იმისა თუ როგორ მდგომარეობაში იყო საქართველოს ეკლესია სანამ რუსეთის შეერთდებოდა და რა მდგომარეობაში მიიღეს იგი. მე ვფიქრობ, რომ ის მდგომარეობა, რომელშიცა მაშინ საქართველოს ეკლესია იყო არ იქნება აყვავებული მდგომარეობა, და არ ვფიქრობ, რომ ვინმემ, რომელსაც უყვარს თავის ეკლესია, ისურვოს აღდგინება „წინანდელი ეკლესიური წესებისა“, რომელიც უ-სამღვდლო ლეონიდს სურს წარმოადგინოს მშვენიერ წესებად. დიად, გაუგებარია როგორ უნდა წარმოადგინოს კაცმა ეკლესიის მდგომარეობა აყვავებულად იმ მხარისა, რომელიც მთლად ვადამწვარი იყო მეზობელ მცხოვრებთაგან—სპარსელებისა და თათრებისაგან, რომელნიც ასი წლის განმავლობაში აძვერედენ არა მარტო ქართველთა ქალაქებს, არამედ ეკლესიებს და მონასტრებს, რომელთა სამწუხარო ნანგრევები ყოველ ნაბიჯზე დღესაც გმოტკიცებენ არ დიდი ხნის საქართველოს ეკლესიის უბედურ მდგომარეობას. ბევრი გათათრებული ქართველები დღემდისინ სამწუხარო მოწმენი არიან იმისი თუ რას უშვებოდენ მტერნი, რომელთაგან გამოიხსნა რუსეთმა და როგორ ძალით აღებინებდენ თათრის სბრწუნეოვას არა-თუ მდბაღლ ხალხთა, არამედ მეფეთაცა. ქართველთა მეფეები მეფექმსებტე საუყუნის დაწყებიდან, რომ კიდევ ძველი დრო არ ჩავთვლოთ, ნიადავ ლადებდენ და სთხოვდენ შემწობას რუსეთის თვით-მწყობრელთა, რომ ს-ქართველო შეერთებინათ რუსეთის სახელმწიფოსათვის და ერთ უშთავრეს საბუთად თავიანთ თხოვნისა უჩვენებდენ ეკლესიის დაცემას და ქრისტიანობის დასუსტებას საქართველოში. საკმაოა, ვთქვათ რომ საქართველო შემოერთების დროს შეადგენდა ოც-დაათი თას კვადრატ ვერსტს, ოთხას ორმოცდაათი საცხოვრებელი ადგილებით და სულ ას სამოცი ათასი მცხოვრებით, რომელთა ოციცეში უნდა ვიანგარიშოთ ოსენი, სომხები და თათრები. ეს არ არის მეტი დღესდღეოს ერთ მაზრაზე და, რომ სთქვას კაცმა ეკლესია აქ კეთილდღეობდაო, წინანამდევ ისტორიული ფაქტებისა, სწორეთ გაუგებარი და ვასაოცარია, რომ მეტი არა ვსთქვათ,— და კიდევ მეტი იქნება რომ ვისურვოთ დაუბრუნდეთ იმ წეს-წყობილებას რომელნიც მაშინ არსებობდენ...

რაცა შეეება საქართველოს ეკლესიის მმარ-

თვა-გამგეობას რუსეთთან შეერთების შემდეგ, უნდა შეინზნოთ, რომ 1817 წლამდე ექსარხოსებათ იყენენ ქართველები, და მაშისადამ რაც მოახდინა უწმიდესმა სინოდმა ძველებურ მმართვე-გამგეობის შესახებ საქართველოს ეკლესიის წეს-წყობილებაში, მოხდა აღბათ თუ მათი ინიციატივით არა, ქართველთა ექსარხოსების თანხმობით, 1817 წლის შემდეგ მართალია ინიშნებიან ექსარხოსებათ რუსთა ჩამომავალნი, ამას კიდევ თხოვილობდენ თვით ქართველები, რომელთაც დიდი თანამდებობა ეკავათ საქართველოში, მაგალითებრ, კავკასიის ნამესტნიკები.

ქმსკზხსი კირაიანი. უ-სამღვდლო სტეფანე უსაფუძვლოდ და უმართლოდ უჩვენებს არხი-ლიაკონს პავლე აღესკელს,—ანტიოქიის პატრიარქის მაკარის მოგზაურობაში სრულებით არ არის ნათქვამი საქართველოს ეკლესიის დაცემაზედ: წინაღმდეგ მისი პატრიისცემა ქართველთა ეკლესიისა და ხალხისადმი გამოხატა მით, რომ მოსკოვში პატრიარქებისა და მეფის თანადასწრებით, წირვავე სანახარება წაიკითხა მან ქართულად, ქართულადვე წარმოსთქვა კვერქჷი „კათაკმვეელნო განკველით“ (მოგზაურობა ანტიოქიის პატრიარქის მაკარისა, გამოცემა მეოთხე, გვრ. 128). ეპისკოპოსი სტეფანე აგრეთვე სცდება როცა ამბობს, რომ ვითომ თვითონ ქართველები, რომელთაც დიდი ადგილები ეკავათ საქართველოში როგორც, მაგალითებრ, ნამესტნიკები, თხოვილობდენ, რომ ექსარხოსებად რუსების ყოფილიყენენ დანიშნულნი. კავკასიის ნამესტნიკებთაგან მხოლოდ ერთი (თ. პ. დ. ცოციანოვი 1802 და 1806 წელში) იყო ქართველი და იმასაც არ უთხოვინა, რომ ექსარხოსად რუსთაგანი ინიშნებოდესო. ის იყო გარუსებული ქართველი და ქარფულად არც-კი ლაპარაკობდა.

ზრფესსორი დღუფთავისკი. ყოველ შემთვევაში ის მიიძც ქართველი იყო, ის ქართველი იყო სისხლით და ნუ თუ შეიძლება ამაზე ვსთქვათ, რომ ის იყო სრულებით გადაგვარებული ქართველი.

ზრფესსორი ალმასოვი. რუსები, რომელნიც დიდ ხანს იმყოფებიან უცხოეთში ხან-და-ხან დაივიწყებენ ხოლმე თავის ენას, მაგრამ—მინც რჩებიან რუსის პატრიოტებად...

ზრფესსორი სოკოლფოვი. საქართველოს ექსარხოსებაგან ქართველი მარტო ერთი იყო ვარლამი

ერისთავთავანი და სხვები ყველა რუსები იყვნენ. ეპისკოპოსი კირიხი. წინაპრები ციციანოვისა წინეთ იყვნენ გადასახლებულნი რუსეთში ერთად ქართველთა მეფის გვარეულობასთან 1724 წ. და როცა თ. ციციანოვმა მიიღო ნამესტნიკობა დაუწყო მტრობა ახალ ქართველთა მეფის გვარეულობას და ხალხს.

ზსთფესიორი გლუბოფოსკი. ყველა ესეები ძლიერ ცოტათი ეხებიან საქეს არსებითად, ფაქტი ფაქტად რება წინაიღმდეგ ყველა აღსნა განმარტებისა.

ეპისკოპოსი სტეფანე. ყველაზედ უმჯობესი იქნება შეიკრიბოს ცნობები იმ დროის ქალღლებიდან და მათზე დაფუძნებით აღმოჩნდება ვინ შუამდგომლობდა ქართველების ექსარხოსების მაგიერ რუსები დანიშნულნი იყვნენ და რა საფუძვლით და რა მოსახურებით იყო ეს გამოწვეული. მე ვესტკვი, რომ 1817 წლამდე ექსარხოსებად იყვნენ ქართველნი, ამით მე უჩვეულ გავდილი დრო და არა რიცხვი ექსარხოსებისა... მაგრამ უბრუნდება ისევე ყ-დ სამღვდელმოღვნიდის მოხსენებას. იგი ამტკიცებს, რომ ყველა ექსარხოსები მართედენ საქსარხოსოს თავის საყვარელი კაცების დახმარებით. ეს ცილის წამება არის. მე ვმსახურებდი კავკასიაში ვლადიმირის და ფლავიანეს ექსარხოსობის დროს. მე თვალთ მხილველი ვარ უკანასკნელის მმართველობისა და მზად ვარ რითაც გინდათ დაგიმტკიცოთ, რომ არავინ მოსიყვარულე მას არ ყოფილია, რომელსაც მასზე გავლენა ჰქონებოდაც ეკლესიის მართვა-გამგეობაში. აგრეთვე არ გამიგონია, რომ ვლადიმირსაც მისთანა ვინეე ყოლებოდაც. რაიცა შეეხება ექსარხოსებს ისილორეს, იონიკეს და პალადის, ისინი დიდად პატივცემული იყვნენ და ყველას უყვარდათ უმწიკლო აღმინსტრატორულ მოღვაწეობისათვის, თავგამეტებული შრომისა და სამსახურისათვის ქართველთა ეკლესიის სასარგებლოდ და, რასაკვირველია, არ იქნებოდენ დაწინაურებულნი და არ მისცემდენ დიდ აღდილებს რუსეთის ეკლესიაში, რომ არ ყოფილიყვნენ ნიჟეინი ეკლესიის მმართველ-გამგეობის საქმეში. ქართველებს არ მოსწონდათ ექსარხოსი პეულე როგორც ფიცხი გულის კაცი, მაგრამ ისინი ყველა თანხმანი იყვნენ, რომ იგი ყველა ექსარხოსებში შესანიშნავი იყო როგორც კარგი აღმინსტრატორი, რომელზედაც არავის მასთან დაახლოვე-

ბულ პირთა არ შეეძლოთ თავის გავლენა ჰქონებოდათ.

თაფმჯდამარე მღვდელმთავარი. მე წავიკითხე საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა. იქ ყველა ექსარხოსების სამსახურზე მშვენებერი აზრებია.

ეპისკოპოსი სტეფანე. აი ჩვენ შორის არის ორი ეპისკოპოსი ქართველთაგანი, მათ თვლის წინ, — განსაკუთრებით ყ-დ სამღვდლო ეპისკოპოსის ეფთმისა, რომელიც დიდი ხანი მსახურებდა კათედრის დეკანოზად და სინოდის კანტორის წევრად მან იცის სამსახური მრავალ ექსარხოსთა, მათ შეეძლოთ შეტეობა წინანდელ ექსარხოსების სამსახურისა თავიანთ უზუცეს შემამულეთაგან. აი, ამათ სთქვან, რომელი ექსარხოსი მართებდა საქართველოს ეკლესიის დაახლოვებულ საყვარელ პირთა დახმარებით?"

ჩვენ ნებას ვითხოვთ მკითხველთაგან ცოტა შეეწრდეთ და ჩვენი აზრი გამოვსთქვათ ზოგიერთების სიტყვებზე, რომ მკითხველი მიხვდეს ყველა იმ მომზადებას, რომელიც საქიროდ უტევია ამ მეორე განყოფილების კრებას საქართველოს ეკლესიის საქმეების შესახებ, მაგრამ ქართველთა ეკლესიის მხრითი არავინ არის; მხოლოდ ორი პირი დაუბარებიათ, როგორც ბრალდებულნი; ლეონიდის დაბარება საქიროდ არ მიუჩნევიან და მასზე კი არის თავიდა თავი მსჯელობა, თავს იკვლენ იმაზე თუ როგორ გაბედა მან ექსარხოსების სამსახურის დამცირება...

ეპისკოპოსი სტეფანე კარგად იცნობს ეპისკოპოსის ეფთმის. აი სწორეთ ამ დროისთვის იყო საქირო ჩვენება ეპისკოპოსის ეფთმისა და ისე ჩუმიდ იყო მიწვეული თფილისიდან, რომ არავინ არ იცოდა სად წავიდა იგი. აგერ ბოლოს შევიტყვეთ, რომ თურმე საქირო იყო მისი ჩვენება მეორე კრების განყოფილებაზე, სადაც მსჯელობა ექნებოდათ ექსარხოსების სასარგებლო მსახურებაზე და არა ავტოკეფალიის აღდგინებაზე...

ეპისკოპოსის სტეფანეს მოლოდინი გამართლდა, ეპისკოპოსმა ეფთმემ აღიარა, რომ ექსარხოსები ჩვენი ეკლესიის სასარგებლოდ მსახურებდენ და თავის სიტყვებზე არ ზოგავდენ ქართველთა საკეთილ-დღეობად. ერთი სიტყვით არავითარი ნაკლებევაება მათი სამსახურის დროს არ ყოფილა. ორას ორმოცი ათასი მანეთი, რომ გაიფლანგა სინოდის კანტორაში იმ ექსარხოსების და კანტორის

წევრების დაუდევრობის ბრალი კი არ იყო, არამედ ბოროტი ეშმაკის საქმე არისა და სხვ...

მივაქცევ მკითხველის ყურადღებას ერთ შესანიშნავ გარემოებას. თავმჯდომარემ გახსნა კრება, პირველად წაიკითხა ყ-ღ სამღვდლო კირონის ორი მოხსენება და მკითხველი მოელოდა, რომ მსჯელობა ამ მოხსენებაზე უნდა დაწყებულიყო. როცა ამ მოხსენების გარშევა გათავდებოდა შემდეგ შეიძლებოდა სხვა კითხვაზედ გადასულიყო კრების მსჯელობა. მაგრამ, როგორც ანგარიშიდან სჩანს, მეორე თავმჯდომარეობას იკლთენებს ეპისკოპოსი სტეფანე. ყ-ღ სამღვდლო ლეონიდის მოხსენება ამოუწერია ცალკე წიგნიდან, კითხულობს მას კრებაში თავის შინაშენებით და კრება შემდგარი ამდენი საპატო პირებიდან მიატოვებს კირონის მოხსენებას და ერთ გაუთავებელ ბაას გააბამს იმის შესახებ, თუ როგორ გაბედა ეპისკოპოსმა ლეონიდმა ექსარხოსების სამსახურის დამკირება და გრძელგრძელ სიტყვებს ხარჯვენ იმას დასამტკიცებლად, რომ ექსარხოსებმა ქრისტიანობა აღადგინეს საქართველოში და ყველა დანგრეული ეკლესიები განაახლესო, გაამარჯულეს მონასტრები და ეპარქიები!.. როგორც სჩანს ამ ბატონებს სრულებით არ წაუკითხავსო უწმიდესი სინოდის ობერ პროკურორის უქვეშევრდომილესი ანგარიშები საქართველოს ეკლესიისა და ხალხის შესახებ, სადაც ცხადთა და აშკარად სჩანს, რომ სარწმუნოება საქართველოში წინადაღლზე დღეს უკვე დაცემულია და ეკლესიები და მონასტრები სატირალ მდგომარეობაშიაო. უნდა იცოდეთ, რომ ეს ანგარიში ექსარხოსის მოხსენებაზეა დამყარებული!.. ნაცვლად იმისა, რომ მსჯელობა იქონიონ ავტოკეფალობის აღდგენის შესახებ კრების ზოგიერთი წევრები, რომელნიც საგანგებოდ იყვნენ შეკრებილნი, როგორც დამცველნი თავის ინტერესებისა და ექსარხოსებისა, გაუთავებელი შესხმებით ამტკიცებენ, რომ ექსარხოსები თან ყვებოდენ ქართველ ეკლესიის სამსახურსო და როგორ გაბედეს მათი სამსახურის აღმადგლებოა. თავის მხრით სინოდს ყველა პროფესორები ეპისკოპოსები და დეკანოზები დაუბარებიათ, მაგრამ ქართველების მხრით თვითონ, რომელსაც ბრალსა სდებდენ ისიც არ დაუბარებიათ. საქმოდ მიუჩნევიათ მატრო ეპისკოპოსის კირონის დაბარება და მისი ჩვენების გასამტყუნებლად.

მხოლოდ ვეთიმე ეპისკოპოსისა, რომელიც საიდუმლოდ იყო დაბარებული. ვინ არის ეს მოწამე ისეთი კაცი, რომელიც შეძლებული იყო ხალხისაგან და შეშინებული კიდევ გაიქცა და დაბრუნებას აღარ აპირებს. როცა ოც წევრამდენი წინადაღბოდნენ აღნიშნულ კომისიაში ქართველთა ეკლესიის საქმის გასარჩევად ნუთუ ქართველები-საგან ათი წევრი მინც არ უნდა მიეწვიათ? ქართველების მხრით იყო მიწვეული ორი ეპისკოპოსი და ორივე მოუშუადებელი იმ საკითხების შესახებ, რომლებზედაც იყო მსჯელობა.

(გაგრძელება იქნება).



### სათათბირო და საბაგო.

მეორე სათათბირო გაიხსნა პირველ საათზე. გაიხსნა ხმები „გაუმარჯოს მეფეს! ღრა!“, რაც პირველ სათათბიროს მოწვევაზე არა ყოფილა. ამას იძახდნენ შემარჯვენე დებუტატები. შემარცხენენი და დამსწრე საზოგადოება ჩუმად იყო. გარემოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მოეღიანა სიურპრიზებს.

სახელმწიფო სათათბიროს გახსნა. შუადღისას ეკატერინეს დარბაზში მიტროპოლიტმა ანტონიმ, ორმა ეპისკოპოსმა, ორმა არქიმანდრიტმა და ისაკის ტაძრის კრებულმა გადაიხადა პარაკლისი. მერე მიტროპოლიტმა შემდგენის სიტყვით მიმართა დებუტატებს: „დღეს აქ სახელმწიფო საქმის მოსაწყობად შეკრებილბმა ვავისენათ ის დრო ქრისტიანობის ისტორიისა, როდესაც ქრისტემ თითონ აირჩია თანაშემწენი, რომელთაც მიანდო სამოციქულო სამსახური. ქრისტემ თორმეტ მოციქულს მოუწოდა. როდესაც ამთ რიცხვს მოაკლდა იუდა, მოციქულებმა სთქვეს: ავირჩიოთ ერთი იმათგანი რომელიც მუდამ ჩვენთან იყო იესოს ნათლიდებიან ამიღლებამდგო. ამ რიგად, მოციქულებმა აირჩიეს ისეთი კაცი, რომელმაც იცოდა ქრისტეს ცხოვრება და მისი მოძღვრება. თუ ამ მაგალითს ეხლანდელ დროს შევუარდებთ, გამოვა, რომ ახლად არჩეულთათვის საქირაო მოშუადება და საფუძლიანი ცოდნა იმ საძირკლისა, რომელზედაც იზრდებოდა და მავრდებოდა რუსეთის სახელმწიფო. მათვე უნდა ახსოვდეთ მუდამ ის, თუ



რად მოვიდნენ აქ და რისთვის არიან მოწოდებულნი. როცაქულებმა აირჩიეს ისეთნი, რომელნიც შეამოწმებდა ქრისტეს აღდგომას. თქვენ მოგწოდებს იმიტომ, რომ სინდისით და სიმაართლით შეამოწმოთ ჩვენის სამშობლოს საქობრებანი. სამშობლოს კეთილდღეობა სხვა და სხვა კაცს სხვა და სხვა ნაირად ესმის. ქრისტეც სხვა და სხვა სახით ერგებოდა მოცაქულებს. მომყავს რა ეს მაგალითი, ვფიქრობ, რომ ამასვე ჰგავს ღღვანდული ჩვენი საქმე. აქ არ შევებები სათათბიროს მოქმედების პოლიტიკურ მხარეს. ეს მე არ ვიცი და არც საკმაო მოზადება მაქვს ამისათვის. ვთხოვ უფალს, შეისმინოს ჩვენი ღოცვა დაეხმაროს არჩეულებს, რომ მათ იმას კი არ მიაკვიონ ყურადღება—მოწინააღმდეგენი დავამარცხოთო, არამედ იმას, რომ საკეთილოდ იზრუნონ. ცხარე კამათის დროსაც კი არაინ არ უნდა დაივიწყოს ეს: მარტო თავის გამარჯვებაზე ფიქრი აფერხებს იმ საქმეს, რისთვისაც მოწვეულია სათათბირო. დასასრულ, ვისურვებ, რომ სათათბირო, რომელსაც მივილი ხალხი სასოებით შესტკეირს, არ იყოს მყირაილა და ყბდები, არამედ დავკირვეული და გონიერი მომუშავე. პარაკლისის გათავების შემდეგ, ზოგიერთ დებუტატების მოთხოვნისგან, შესრულებულ იქნა გიმნი. გაისმა „ურას“ ძახილი.

ნაშუადღევის პირველ საათსა და სამ წუთზე თავმჯდომარის ადგილზე ავიდა გოლუბევი. მან დაბლა თავი დაუკრა დებუტატებს წინ, მარჯვენად მარცხნივ. შემდეგ სახელმწიფო სეკრეტარმა ისკულგოლდენბრანტმა წაიკითხა უმაღლესი ბრძანება სათათბიროს გახსნის შესახებ. გოლუბევი წაიკითხა შემდეგი: ხელმწიფე იმპერატორმა, დამავალა რა ახალ სათათბიროს გახსნა, მიბრძანა ვადგესცე სათათბიროს მისი უდიდებულესობის უმოწყაღესი მილოცვა. უფალმა აკურთხოს შრომა თქვენი ძვირფასს რუსეთის საკეთილდღეოდ“. ამ დროს ბესარაბიის გუბერნიის დებუტატმა კრუბენსკიმ წამოიძახა: „გაუმარჯოს ხელმწიფე იმპერატორსაო“. მემარჯვენეებმა „ურა“ დასძახეს და ფეხზე წამოდგნენ. კადეტები და მემარცხენეი ჩუმად ისხდნენ. გოლუბევი განაგრძო: „უკვე შეიკრიბა კანონიერი რიცხვი დებუტატებისა“. შემდეგ, გოლუბევის წინადადებით, სეკრეტარმა წაიკითხა წესები სათათბიროს დაარსების შესახებ.

გოლუბევიმა სთქვა: „უნდა ავასრულოთ კანონში აღნიშნული წესი ალექსის შესახებ. ვთხოვ სახელმწიფო სეკრეტარს, წაიკითხოს ეს ალექსი. ვთხოვ დებუტატებს, კეთილი ინებონ და ფეხზე დგომით მოისმინონ ეს ალექსა“. ყველანი წამოდგნენ. სეკრეტარმა წაიკითხა. მეგრ ყველამ ხელი მოაწერა, რასაც ნახევარი საათი მოუნდა. გოლუბევიმა წინადადება მისცა დებუტატებს, ბარათებით დაესახელებინა კანდიდატები თავმჯდომარის ადგილზე. როდესაც ბარათები მზად იყო, გოლუბევიმა ითხოვა, იკისროს ვინმემ ბარათების დათვლა. ცენტრსა და მარცხნივ გაისმა: „თავ. დოლოგორუკოვი, კარაგაევი, კუზნინ-კარაგაევი“. ხოლო მარჯვენა: „ივაშენკო, ბობრინსკი, პოლოკოვი“. გოლუბევიმა ყველა ესენი მიიწვია. ბარათების დათვლის შემდეგ, სეკრეტარმა გამოაცხადა შემდეგი: გოლოგინმა მიიღო 431 ბარათი, ხომიაკოვა—91, კუზნინმა—3, მ. სტახოვინმა—2, ტესლენკომ—1. გოლოგინის გარდა ყველამ უარი განაცხადა. დასდგეს ერთი ყუთი. ასისტენტებად მემარცხენეებმა დაასახელეს დოლოგორუკოვი და კარაგაევი, მემარჯვენეებმა—ივაშენკო. სამივენი ყუთითან დადგნენ. დაიწყო კენჭის ყრა. სახელმწიფო კანცელარიის ერთი მდივანი ხმა მაღლა კითხოლობდა სათათბიროს წვერთა სიას კენჭის ყრის დროს სრული სიმუშე იყო. კენჭის ყრა 3 1/2 საათზე გათავდა, გოლუბევის მოწოდებით ივაშენკომ ხმა მაღლა დასთვალა კენჭები. გოლოგინს ამოუვიდა 306 თეთრი და 102 შავი. გაისმა ტაშის ცემა ცენტრსა და მარცხნივ; მარჯვენა მარცხნივ. სახელმწიფო მდივანმა წაიკითხა საარჩევნო ფურცელი. გაისმა ძლიერი ტაშის ცემა ცენტრში და მარცხნივ. მარჯვენა მხარე სდუმდა. ტრიბუნაზე ავიდა თველორე ალექსანდრეს ძე გოლოგინი. გოლუბევიმა საღამომი მისცა. ტაშის ცემა განაგრძეს. გოლოგინმა თავი დაუკრა სათათბიროს და შემდეგი სიტყვა სთქვა: „სათათბიროს ნება იმის თვითეულ წვერისათვის კანონია. მე ეს მასსოვს და უწყობანოდ ვკისრულობ თავმჯდომარის თანამდებობას. თქვენგან დიად პატივისცემის ვეღირსე. რაც შემოძლია, ყველაფერს ვიქ, რათა თქვენი ნდობა გავამართლო. თუმცა სხვა და სხვა მიმართულებას ვეკუთვნით, მაგრამ ერთი მიზანი გვავრთებს: კონსტიტუციონალურ შრომის ნიდაგზე სამშობლოს კეთილდღეობის განხორციელება“.

ვეცდები, პირუთენელი ხელმძღვანელობა გაუწიო კამათს, დაეცვა სიტყვის თავისუფლება. ჩემ მოვალეობად ჩათვლი შეუდრეკელად ვიზრუნო სათათბიროს ღირსების დასაცვლად. კარგად ვიცი, როგორ მოუთმენლად ელის ჩვენი ქვეყანა მიმე ტანჯვებისაგან ხსნას. პირველმა სათათბირომ აღნიშნა პირდაპირი გზა ამ ძნელ საქმის განსახორციელებლად. ეს გზა ამ ჟამიდაც იგივე რჩება: 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებულ საკონსტიტუციო საფუძველთა ცხოვრებაში გატარება და სოციალურ კანონმდებლობის განხორციელება. ყველაფერი ვიღონოთ, რათა მეორე სათათბირომ ეს საქმე განახორციელოს. ძლევა მოხილია ხალხის წარმომადგენლობა. რაკი ერთხელ სიცოცხლეს დაწაფა, იგი აღარ მოკვდება; ხელმწიფესთან შეთანხმებით, იგი შეურყეველად გაატარებს ცხოვრებაში ხალხის აზრსა და სურვილს. კანონის ძალით, თავმჯდომარემ უნდა აუწყოს ხელმწიფე იმპერატორს არჩევნების შედეგი. სხდომას გახსნილად ვცხადებ. შემდეგი სხდომა განსაკუთრებულის უწყებებით იქნება გამოცხადებული. სხდომას 3 საათზე და 48 წუთზე ეხურავ.“

### აწარმე ფიქრები

ღედა-მიწაზე არ მოიძებნება ისეთი ხალხი, რომ სარწმუნოება ანუ რელიგია არა ჰქონდეს. ვერ ნახავთ ისეთ ხალხს, რომ ქვეყნისა და ხალხის გამჩენზე, რაღაც უმაღლეს არსებაზე წარმოდგენა არა ჰქონდეს. ამისთანა უმაღლეს არსებად, ქვეყნისა და კაცის გამჩენად ხან-და-ხან მიიჩნით მზე, ცეცხლი და სხვა-და-სხვა ბუნების მოვლენანი. რამდენად ხალხი განათლებული არის იმდენად სარწმუნოება და რელიგია უმაღლესია და რამდენად გაუანათლებელი და გონებით დაბნელებულია იმდენად მათი სარწმუნოება და დემოტიის წარმოდგენა გასაოცარი და ახირებელია. სრულებით საკმარისია გადათავლიეროთ ხალხის სათაყვანო კერებში, რომ, ცხადთა დარწმუნდეთ ამ ხალხის განათლებაზე. ჩვენი საღმრთო წერილი და ღვთის მეტყველების სწავლა-მეცნიერება ცხადთა და აშკარათ განმარტავს ამას. რაც უნდა ველოდო იყოს კაცი არ შეიძლება ისე

დაეხმოს განება, რომ სრულებით გაქრეს მასში წარმოდგენა ქვეყნისა და ხალხის გამჩენისა და უმაღლესი არსებისა, რომელიც მამობას უწევს ხალხს და ყოველ ქვეყნიურ არსებას, ხალხის ამისთანა გრძობას, მათ რწმენას და რელიგიას სულ სხვა ნაირად ხსნიან დღეს ზოგიერთი მეცნიერები. ერთი ამისთანა წერილი წავიკითხეთ ჩვენ გაზეთ „ისარი“-ს მე-31 ნომერში ერთის ჩვენის ნიჭიერის მწერლისაგან დასტამბული ამ სათაურით: „არ ახალია,—ძველია ეკონომიური მატერიალიზმი“. ეს მწერალი სრულებით არ გავს ჩვენს ზოგიერთ ქარაფშუტა პუბლიცისტებს და მწერლებს. იგი სერიოზულ საგნებზე სერიოზულად სჯის და თავის ნათქვამს და ნაამბობს მტკიცედ ამყარებს უცხოეთის მწერლების გამოკვლევებზე. ეს წერილი, ამ შესანიშნავი მწერლისა, მესამეა. ამ წერილში მას აქვს აღებული სარწმუნოება ანუ რელიგია. ასე იწყებს იგი თავის წერილს „ისარი“-ს გაზეთში:

„ავიღოთ შემდეგ სარწმუნოება, ანუ „რელიგია“; ვინმართ ეს საერთაშორისო ტერმინი, რომელიც უფრო ვრცლად გამოჰხატავს ჩვენს აზრს.“

„რამდენიც არ ეცადნენ სხვა-და-სხვა სკოლის სოციოლოგები და ფილოსოფოსები დაემცირებინათ მისი როლი ისტორიაში, დეპატარავებინათ სიდიდე იმის ძალისა, რომელსაც საშინელი და მძლავრი გავლენა ჰქონდა ადამიანის აზროვნების ცვალებადობის პროცესზე და, საერთოდ, ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე,—მათ მიწა ვერ დაამტკიცეს მისი სისუსტე, როგორც „მეორე ხარისხიანი ფაქტორისა“.

„წარმოშობილი ადამიანის სულისა და გარემოცულ წრის ურთიერთ შორის განწყობილების გან, შემდეგ ყოველ ისტორიულ ეპოქაში შეგუებული იმ მთელ საზოგადოებრივ წყობილებასთან და აგრეთვე მასზედ მძლავრად ზედა-მოქმედი, მიხეზი მრავალგვარ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენისა და აგრეთვე შედეგი მათის ტრანსფორმაციისა,—რელიგია ყოველთვის იყო ერთი დიადი, და დამოუკიდებელი ძალა ადამიანის საზოგადოებათა განვითარებაში და ისტორიულ ჟამთა ვითარების უკუღმართობაში, და მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ცივილიზაცია მეცნიერებისა და გამოგონებათა ცივილიზაცია, ცივილიზაცია იმ ძალთა შეგებისა და განზომისა, რომელთა მოვლენებლობაზე და განუ-



ზომლობამაც შეაქმნევინა ადამიანის აზროვნებას თვით ეს რელიგია, — ეს უკანასკნელი დღესაც უდიდეს სიდიდეს წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებრივ ძალთა საერთო ჯამში და სასურთიერეთო განწყობილებებში. ხან-და-ხან თვით სოციალისტებიც ვერ განთავისუფლებულან იმის ძლიერ კლანჭები-საგან“.

ღალა, ისე ადვილად ხელ-წამოსაკრავი არ არის სარწმუნოება და რელიგია ხალხისა როგორც ვი. იგანე გომართელს მიაჩნია. „მე, გაიძახოდა ეს, არაფერი არა მწამს და იმედია, რომ ხალხიც, რო-დესაც ჩემსავით განათლებუა თავს დაანებებენ სარწმუნოებას! რისთვის დასჭირდა ბ. ი. გომართელს სარწმუნოების უარ-ყოფა? მისთვის, რომ თავი გამოეჩინა ხალხში. გამოიჩინა კიდევ თავი! სუსტმა სემინარიის შაგირდებმაც ასე იციან. რომელთაც ერთჯერ არ მიუღიათ კარგი ნიშანი ღვთის-მეტყვე-ლების სწავლაში, თავის გამოსაჩენად, განაცხადებენ ზოლმე: „მე ღმერთი არა მწამს და მიტომ არ მიხდა ვისწავლო ღვთის-მეტყველების საგანი“. იყიდიან დარვინის წიგნს, ნიადაგ ატარებენ ილღიაში და ერთჯერაც არ წაუკითხავთ!..

Baton-ის წერილი სწორეთ მშვენიერი გამოკვლევაა, ის გომართელივით კი არ გაიძახის სარწმუნოება და რელიგია არაფერი არ არისო, არა, იგი ამტკიცებს, რომ ბევრი ეცადენ სარწმუნოება და რელიგია ამოეფხვრათ ხალხის გულიდან, მაგრამ ვერ მოახერხესო. ბ. ი. გომართელი საქვეყნათ აცხადებდა მე სასულიერო არა მწამს რაო და ბევრე-მის მონათლვაში ფულებს იძლეოდა და ეკლესიაში ბევრის დამარხვისათვის ფულებს ხარჯავდა. „ბათონს“ კი თავისი აზრი არ მოყავს არც ერთ ადგილას. მას უცვლელად მოყავს ევროპის შესანიშნავი მწერლე-მის აზრი სარწმუნოების და რელიგიის შესახებ და მკითხველს ნება აქვს როგორც უნდა ისე მიიღოს.

„დარვინის აზრით, განსაზღვრულ სახის ცხო-ველთა ურთი-ერთი განწყობილებისა, რომლიდანაც სჩანს, რომ ისინი ერთმანეთს თანასწორათ უყურე-ბენ და კიდევაც უხარბიანთ ერთმანეთთან ბუნებრივი კავშირი, სრულიად არა ჰვავს იმავე ცხოველის განწყობილებას ადამიანთან ან სხვა რომელსამე საშიშ არ საკვირველ მოვლენასთან. დარვინს მოჰყავს ბრალუბანისა, რომ, რომელიც ამტკიცებს რომ, მავალითად, ძალრი ადამიანს ღმერთივით შეგყურე-

ბსო. დარვინისავე ცდა ამტკიცებს, რომ ძალღს შეუძლია რომელიმე მოძრავე საგანი მიიღოს რა-ღაც უცნაურ ცოცხალ არსებად. თვით დარვინის ძალღს მოძრავე ქოლგა მოგვწენა ამგვარ არსებად. საზოგადოდ, დარვინი იმ აზრისაა, რომ ჩვენნი ცრუ-მორწმუნეობანი შეგვიძლია შევადაროთ ცხო-ველთა ინსტიქტების შემთხვევით შეცდომათათო. მაგრამ ამ ინსტიქტთა შეცდომაშია თესლი რელი-გიის წარმოშობისა, რომელიც ადამიანთა შორის განეითარა“.

დარვინს მოყავს თავისი აზრი და შეხედულება და ის პირდაპირ არ ამტკიცებს, რომ კაცებისა და ცხოველების სარწმუნოება ერთნაირი არის. ამისთანა მსჯელობა გულ-გრილიად მოსასმენია და საინტერე-სოც. დარვინის ბევრი აზრები შემდგეში სწავლუ-ღმა კაცებმა სრულებით გაამტყუნეს, და ესევე დაე-მართება იმისგან მოყვანილ ამ აზრებსაც.

„პირველ-ყოფილი ადამიანი გარემოცულია ბუ-ნებით და იგი იმის მიღამოებში იბრძვის არსებო-ბისათვის; მასზედ აგრეთვე მოქმედებს ათასნაირი მოკლენა; ცა, ცის მნათობნი, გარეული ცხოველე-ბი, შინაური ცხოველები, ტყე, მდინარე, ზღვა, აგრეთვე სხვა-და-სხვა მოკლენანი ბუნებისა, რო-გორც ქექა-ქუხილი, ქარიშხალი, წვიმა, მიწის ძვრა და სხვა; ყოველსავე ამას ადამიანმა ანგარიში უნდა გაუწიოს. ამ ელემენტთა შორის ზოგი ისეთია, რომელსაც ადამიანი თავის სასარგებლოდ იყენებს, ზოგი ისეთია, რომლის მანებელი გველენაც მას ანადგურებს, ზოგიც კიდევ ისეთი, რომელიც უშუ-ამდგომლოდ მოქმედებს მის ცნობის მოყვარობაზედ — აშინებს მას ან აკვირებს, უძრავს სიყვარულს, მშვენიერების გრძნობას, ან განუზომელობითა და სიდიდით ჩაუნგრავს გულში შესაფერ შთაბეჭდი-ლებას. ამაზედ ადამიანის აზროვნებამა და გრძნო-ბამ შესაფერი რეაქცია უნდა მოახდინოს. და ეს რეაქციაც ისეთია, როგორიც არის თვით მოველე-ნისა. ამ გარეშე შთაბეჭდილებათა მრავალფეროე-ნობა ერთგვარ განწყობილებაშია ადამიანის გონე-ბისა და გრძნობათა მათზედ რეაქციის მრავალ ფე-როვანებასთან, და ამ განწყობილებიდან გამომდინა-რებას სხვა-და-სხვაობა იმ რელიგიოზურ სისტემე-ბისა, რომელიც დახასიათებს სხვა და-სხვა ხალხის ცხოვრებას პირველ დასაწყის სანებში და ეხლაც კი, საღაც ხალხთა რელიგიის ურთი-ერთ შორის



კავშირი და გავლენე ისე ხშირი და მჭიდრო არა ყოფილა“.

დიად, სრულიად მართალია ეს ზემო მოყვანილი აზრი სწავლულისა. კაცს, როგორც ვსთქვი, თან-დაყოლილი აქვს რელიგიური და სარწმუნოებრივი გრძნობა. ამ გრძნობას იგი გამოიჩენს იმ საგნების გაღმერთებით, რომელიც მის გარეშემაა. და როცა იგი გონებით ამაღლდება და განვითარდება მაშინ სარწმუნოება მისი და რელიგია შეიქმნებიან ნამდვილად და ქვეშაირტნი..

„მაგრამ თუთ წარმოშობა ადამიანის რელიგიისა ერთის ძირიდან მოხდა. ეს ძირია საზოგადოდ განწყობილება ადამიანისა გარემოცულ წრესთან, როგორც არა ვსთქვი, — მისი მისწრაფება შეიგნოს ბუნების საიდუმლოებანი. აქ ადამიანის ნერვიულ სისტემაში ფიზიოლოგიური პროცესები დიდ როლს თამაშობენ რელიგიის უპირველეს ელემენტის შექმნაში. ეს უპირველესი ელემენტია — იდეა სულისა, იდეა სხეულისაგან განზორებული და დამოუკიდებლად მცხოვრებ არსებისა, რომლის წარმოშობას ხელი შეუწყო სიზმარმა, ჰალოლიუცინაციამ და სხვა ნერვიულმა მოვლენებმა, — იმავე ენერგეტიულმა პროცესებმა. სიზმრისა ან ჰალოლიუცინაციის დროს მოჩვენებული შორეული არსება, ან რომელიმე მკვდარი კაცის სახე, მათთან ერთად სანადიროდ წასვლა ან რომელიმე მოქმედება, გამოღვიძების შემდეგ კი მსწრაფი განჭრობა ამ უცნაურ სრებათა, — მრავალი განმეორება ამგვარ მოვლენათა, რასაკვირველია, აფიქრებიანება ადამიანს რომ ადამიანი, ან სხვა რომელიმე ცოცხალი არსი მარტო მის მიერ ყოველ დღე ხილულ ელემენტისაგან, სხეულისაგან არ შესდგება. მისი სურვილი „მოვლენათა ახსნისა“, რასაკვირველია, აფიქრებიანება, რომ ერთი და იგივე ცოცხალი არსი ორის არსისაგან შესდგება. ერთი ჩვეულებრივი, ხილული, რომელიც მუდმივი არ არის და კვდება, მეორე კი მუდმივი, უკვდავი, რომელიც სხეულის სიკვდილის შემდეგაც კი ეწეუნება ხოლმე ადამიანს, რომელიც, მიუხედავად თავის სხეულის სიკვდილისა, კავშირს არა სწყვეტს ცოცხალ ადამიანთან.“

„მაგრამ ჩვენ აქ რელიგიის ისტორია არ გვანტერესებს. ჩვენი მიზანია დავატკიცოთ უპირველეს ყოვლისა ის, რომ რელიგია, როგორც სხვა სოციალური ძალები, ძალაა, წარმოშობილი დამო-

უკიდებლად წმინდა ეკონომიურ ფაქტორისა, განვითარებული როგორც ეკონომიურ ისე სხვა საზოგადოებრივ მოვლენათა ზეგავლენით, მაგრამ აგრეთვე მათზედაც მოქმედი და დამოუკიდებელი ძალა, რომელსაც სხვათა შორის განუსაზღვრავს ადამიანის მსვლელობა ისტორიის გზაზე“.

„ანიმიზმის განვითარებამ დაჰბადა სხვა ფორმები რელიგიისა, როგორც ფეტიშიზმი, პოლითეიზმი და მონოთეიზმი, აგრეთვე მისი განვითარება განისაზღვრებოდა, ვაგიმეორებ ყველა იმ პირობებით, რომელშიაც იგი ვითარდებოდა. იმ ქვეყნებში სადაც საგანი, რომელსაც ასულდგმულედნენ, მრავალფეროვანი იყო, განვითარდა პანდემონიზმი და შემდეგ პოლითეიზმი. იმ ქვეყნებში კი, სადაც ბუნება ერთ ფეროვანი იყო, თაღ-უწყვედენელი უდაბნო, რომელზედაც მხოლოდ მზე და ვარსკვლავები აღმობრწყინდებოდნენ ხოლმე, უპირველეს ყოვლისა ნიადაგის ზეგავლენით მონოთეიზმი განვითარდა, როგორც, მაგალითად, არაბეთში და შემდეგ არაბების გავლენით ურასიტანში, რომელიც არაბთა მონათესავე ხალხთა იყო დასახლებული — სემიტებით. შესანიშნავი ინგლისელი მწერალი ვანივულ რიდი ამბობს: რატომ მოხდა, რომ არაბებმა შექჰანეს იდეა ერთის ღმერთისა და არა ბერძნებმა, რომელთა გარნება გაცილებით მაღლა იდგა არაბეთისაზედ? იმიტომ, რომ საბერძნეთის ქვეყანაში ბუნება იყო მრავალფეროვანი, არაბეთში-კი ტიტველი, ერთი“ ბუნება, — ცის მნათობნი და ქვები, არაბეთში ამიტომაც იყო თაყვანისცემა ერთის ღმერთისა, აგრეთვე მზისა და ქვისა. აბრაამი არაბეთიდან გამოვიდა და შეიტანა ქანანის ქვეყანაში ერთის ღმერთის თაყვანის ცემაო. საზოგადოდ, სინტერესოა ამ მხრით იმისი წიგნის ერთი თავი სარწმუნოების შესახებ.“

თფილისში მეხუთე არხეოლოგიური კრება იყო; ვკონებ, 1885 წელს. წავიდნენ არხეოლოგები მცხეთის ახლო ერთი ძველი ნანგრევის შესწავლის სათხებლად. როცა კარგა ღრმად გათხარეს მიწა ბევრი რამ შესანიშნავი ძველი ნაშთები აღმოაჩინეს და ამ სიძველესთან ერთი ყურძნის ახალი მარცვლილი ნახეს. გაუკვირდათ და შეიქმნა ბასი იმაზე, თუ რომელ დროებას უნდა ეკუთვნოდეს ეს მარცვლილი. გაუჭირდათ მოგონება და დიდი დავა ასტყდა ამ მარცვლას სიძველეზე. ერთმა ამ არხეოლოგებთან



მოსულმა ქალმა მოასპობინა ბაასი როცა განუცხადა, მათ, რომ ის ყურძენს ჰამდა მიწის თხრის დროს და ის მარცვლი მის გადაუარდა ჰამის დროს.. ბევრი მოთხრობები არის მოყვანილი სწავლულებისაგან სარწმუნოებისა და რელიგიის სხვა-და-სხვაობის შესახებ, მაგრამ შემდეგი უფრო მეტი დაკვირვებით გამოკვლევა სულ სხვას დაგვიჩვენებს. ჯერ-ჯერობით მრავალი რამ არის გამოკვლეული. ავიღოთ თუ გინდ სიზმარი. ჯერეთ არსად არ წაგვივითხავს რიგიანი გამოკვლევა სიზმრისა. ჯერეთ არც ერთ სწავლულს არ გამოუკვლევია, თუ როგორ ხდება დასიზმრება? არავის არ აუხსნია კარგად სულთამბრძოლი რატომ ელაპარაკება გარდაცვალებულთა სიკვდილის დროს? მაგალითებრ კაკი სცხოვრებდა ორმოცი—სამოცი წელიწადი მათ გარდაცვალების შემდეგ. მას სულ პატარაობისას ახსოვს ეს გარდაცვალებულნი. უკანასკნელ დროს მომაკვდავი მხლობლებს ივიწყებდა და დიდი ხნის გარდაცვალებულთა ელაპარაკება. ბევრი რამ არის გამოუკვლეველი, ვიმორჩებთ კიდევ, ჯერეთ და ელანდელი დასკვნა სწავლულთა ნაჩაქარვეი იქნება და შემცდარი..

\* \*

„რატომ არ მოითხოვენ ჰაერის შეზღუდვას, თუ მოითხოვენ თავისუფლების შეზღუდვას? განა ჰაერი იგივე არაა ფიზიკურ ბუნებისათვის, რაც თავისუფლებაა ზნეობრივ ბუნებისათვის? განა შეუძლია სხეულს კანფითარება, არსებობა უჰაეროთ? განა შეუძლია სულს არსებობა და განვითარება უთავისუფლებოთ? განა შეიძლება აღნიშნის რომელიმე ნიკი გარშალოს, განვითარდეს, თუ მას თავისუფლება არ შეუძლია განძრევა? ვის შეუძლია თქვას, რომ ამა და ამ ორგანიზმს და ორგანოს ამდენი ჰაერი სჭირია? ვის შეუძლია, დააწესოს, რომ ამ ნიკს ეს თავისუფლება სჭირია და იმას—ის თავისუფლება?“

„არა, ჰაერი გაშლილი, წმინდა, განუსაზღვრელი უნდა იყოს და ყოველი სხეული იმდენის ჰაერით ისარგებლებს, რამდენიც სჭირია მისთვის. თავისუფლება უსაზღვრო, სრული, შეუზღუდავი უნდა იყოს და ყოველი ადამიანი, ყოველი ნიკი იმდენს თავისუფლებას მიიღებს, რამდენიც სჭირია მის არსებობისა და განვითარებისათვის. არც ჰაერისა და არც თავისუფლებისათვის არავითარი განსაზღვრა არაა სჭირია! ადამიანისათვის ერთნაირად

განუსაზღვრელად სჭირია ერთიც და მეორეც!  
„თავისუფლება საშუალება კი არა, თავისუფლება ყველაფერია! (მარტო თავისუფლებას შეუძლია აღამაღლოს და გააკეთილშობილო კაცობრიობა). (ისარი).“

